საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ადვოკატი თ. კ. /სიით № /

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.05.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №066/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. რ. მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. რ.-ს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორების პოზიცია:**

1.1 2018 წლის 15 მაისს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა, თ. კ. ადვოკატ მ. რ.-ს წინააღმდეგ. 2018 წლის 3 ივლისს, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა თავისი პოზიცია.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით მ. რ.-ს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი იქნა შესაგებელი, რომელიც მთლიანად მოსარჩელის წარმომადგენლის ლანძღვას ემსახურება, ვინაიდან მასში გამოყენებულია პატივისა და ღირსების შემლახველი სიტყვები.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მ. რ. წარმოადგენს მისი მარწმუნებლის მოპასუხის ადვოკატს. თ. კ. აღნიშნავს, რომ მის მიერ სასამართლოში წარდგენილი სარჩელის საპასუხოდ, მ. რ.-მ წარმოადგინა შესაგებელი, სადაც პატივისა და ღირსების შემლახავ მიმართვებს იყენებს, კერძოდ: „შეუძლებელია ამგვარი მოთხოვნის დაყენება არსებული რეგისტრაციის ფარგლებში და მისი ამგვარი ფორმულირება მიუთითებს სუსტ კვალიფიკაციაზე“; „თუ არ ჩავთვლით სარჩელის

ვიზუალური ეფექტის მოთხვნისთვის გადმოკოპირებულ სასამართლოს გადაწყვეტილებებს“; „ვინაიდან მოთხოვნა ჩანასახშივე იმდენად არაიურიდიულად არის ჩამოყალიბებული, მისი შემდგომი დასაბუთება დილეტანტურია, როგორც მოთხოვნის გარეგნული სახეც“.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა, მ. რ.-მ 2018 წლის 1 ივნისს წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ საპროცესო ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად, სასამართლო პროცესი მიმდინარეობს შეჯიბრობითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების საფუძველზე. აღნიშნული დანაწესი წარმომადგენელს აკისრებს ვალდებულებას, მაქსიმალურად შეეცადოს თავისი კლიენტის ინტერესების დაცვას და ამისთვის გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, კანონის ფარგლებში და მისი დაცვით.

2.2 2018 წლის 16 ივლისს გამართულ ეთიკის კომისიის სხდომაზე მ. რ.-მ მხარი დაუჭირა მის მიერ წარმოდგენილ ახსნა-განმარტებას. ადვოკატის განმარტებით, ის წინადადებები, რაც მის მიერ იყო გამოთქმული, თუ დაწერილი, ეფუძნებოდა ფაქტებს და ფაქტიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულ აზრს, რისი გამოხატვაც აუცილებელი იყო პროცესის ობიექტური რეალობის გამოსააშკარავებლად და მოსამართლისათვის შინაგანი რწმენის ჩამოსაყალიბებლად, სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით და ზოგადად საქმის ვითარების აღსაქმელად. შესაგებელში მითითებული ტექსტი ემსახურებოდა პროცესის მოგებით დასრულების მიზანს და არა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის დისკრედიტაციასა და მისი უფლებების შელახვას. ამასთან, ადვოკატმა აღნიშნა, რომ შესაგებელში დაფიქსირებული პოზიცია წარმოადგენდა პროფესიული კრიტიკის ფარგლებში გამოთქმულ მოსაზრებას, ეთიკის კოდექსი კი შესაძლებლობას აძლევს ადვოკატს დააფიქსიროს კრიტიკული მოსაზრება, როგორც სასამართლოს, ასევე პროცესში მონაწილე მხარეების მიმართ.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. რ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი. ადვოკატს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ადვოკატმა თ. კ. ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 15 მაისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2015-2017 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. რ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. **სამართლებრივი შეფასება:**

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა, მ. რ.-მ შესაგებელი შეადგინა ისე, რომ თ. კ.-ს მიმართ გამოიყენა პატივისა და ღირსების შემლახველი წინადადებები, კერძოდ: „შეუძლებელია ამგვარი მოთხოვნის დაყენება არსებული რეგისტრაციის ფარგლებში და მისი ამგვარი ფორმულირება მიუთითებს სუსტ კვალიფიკაციაზე"; „თუ არ ჩავთვლით სარჩელის ვიზუალური ეფექტის მოთხვნისთვის გადმოკოპირებულ სასამართლოს გადაწყვეტილებებს"; „ვინაიდან მოთხოვნა ჩანასახშივე იმდენად არაიურიდიულად არის ჩამოყალიბებული, მისი შემდგომი დასაბუთება დილეტანტურია, როგორც მოთხოვნის გარეგნული სახეც".

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ მ. რ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები";
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას".

5.3 ადვოკატი მუდმივად უნდა ზრუნავდეს შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატის მიერ, საადვოკატო საქმიანობის დროს წარმოთქმული სიტყვები თუ დაწერილი ტექსტი უნდა შეესაბამებოდეს ადვოკატთა შესახებ კანონსა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში მოცემულ ნორმებს. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი, რაც გულისხმობს კოლეგისადმი ღირსეულ დამოკიდებულებასა და პატივისცემას. აღნიშნული პრინციპის დაცვა ხელს უწყობს ადვოკატთა შორის თანამშრომლობასა და ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის მოპოვებას.

5.4 კოლეგიალობის პრინციპთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ 2012 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №100/12 განმარტა, რომ ,,საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ პატივი სცეს სხვა ადვოკატებს და კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში მას არ მიაყენოს შეურაცხყოფა."

5.5 საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას წარმოადგენს ადამიანის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, კერძოდ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის...თავისუფლება", ხოლო 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით". აღნიშნული უფლებები მე-19 მუხლის მე-3 ნაწილითა და 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის ლახავს სხვათა უფლებებს. შესაბამისად, ადვოკატებს უფლება აქვთ ისარგებლონ ამ უფლებით და გამოთქვან აზრი, დაიცვან სხვათა ღირსება და არ შეზღუდონ სხვათა უფლებები.

5.6 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" (საქმე№11/6/561,568; 2016 წლის 30 სექტემბერის გადაწყვეტილება) განმარტა, რომ „თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ

გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა ღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის შეუცვლელი წყაროა“.

5.7 დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ სასამართლოში მიმდინარე საქმეზე, საჩივრის ავტორი, თ. კ. წარმოადგენდა მოსარჩელე მხარის ადვოკატს, ხოლო მ. რ. კი მოპასუხე მხარის ადვოკატს. თ. კ.-ს განმარტებით ადვოკატმა, მ. რ.-მ მის მიმართ გამოიყენა პატივისა და ღირსების შემლახავი სიტყვები. კერძოდ: მ. რ.-მ მის მიერ დაწერილ შესაგებელში მიუთითა შემდეგი: „შეუძლებელია ამგვარი მოთხოვნის დაყენება არსებული რეგისტრაციის ფარგლებში და მისი ამგვარი ფორმულირება მიუთითებს სუსტ კვალიფიკაციაზე“; „თუ არ ჩავთვლით სარჩელის ვიზუალური ეფექტის მოთხვნისთვის გადმოკოპირებულ სასამართლოს გადაწყვეტილებებს“; „ვინაიდან მოთხოვნა ჩანასახშივე იმდენად არაიურიდიულად არის ჩამოყალიბებული, მისი შემდგომი დასაბუთება დილეტანტურია, როგორც მოთხოვნის გარეგნული სახეც“.

5.8 მ. რ.-ს მითითებით მის მიერ წარმოთქმული, თუ დაწერილი ტექსტი, ეფუძნებოდა ფაქტებს და ფაქტიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულ აზრს, რისი გამოხატვაც აუცილებელი იყო პროცესის ობიექტური რეალობის გამოსააშკარავებლად და მოსამართლისათვის შინაგანი რწმენის ჩამოსაყალიბებლად. ასევე ადვოკატმა მიუთითა, რომ მისი მიზანი იყო პროცესის წარმატებით დასრულება და არა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის დისკრედიტაცია და მისი უფლებების შელახვა. მ. რ.-ს განმარტებით, შესაგებელში დაფიქსირებული პოზიცია წარმოადგენდა პროფესიული კრიტიკის ფარგლებში გამოთქმულ მოსაზრებას.

5.9 საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილ შესაგებელსა და მასში არსებულ ტექსტზე და აღნიშნავს, რომ შესაგებელი მოიცავს საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ წინადადებებს. თუმცა, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ მ. რ.-ს მიერ დაწერილ ტექსტი მოიცავს მის მოსაზრებებს და გამონათქვამებს, რომელიც ადვოკატის აზრით მის მიერ წარმოდგენილი მხარის ინტერესების დაცვას ემსახურებოდა, ამასთან არ ცდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას.

5.10 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ მ. რ.-ს მიერ შესაგებელში დაწერილი ტექსტი არ შეიცავს ისეთ ფრაზებს, რომლითაც შეიძლება საჩივრის ავტორის პატივისა და ღირსების შელახვის საფრთხე იკვეთებოდეს. შესაბამისად, ადვოკატმა, მ. რ.-მ არ დაარღვია კოლეგიალობისა პრინციპი.

5.11 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მოპასუხე მხარის ადვოკატმა, მ. რ.-მ მის მიერ დაწერილი შესაგებლით ადვოკატ, თ. კ.-ს პატივი და ღირსება შელახა. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის და მე-10 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას, შესაბამისად ადვოკატ მ. რ.-ს მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.12 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლით, მე-10 მუხლის პირველი ნაწილით; ,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე–4 მუხლის მე–6 პუნქტით, მე–19 მუხლით, 27–ე მუხლით, 28–ე მუხლით, 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №066/18 ადვოკატ მ. რ.-ს მიმართ, /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე /

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/